

მოქალაქის გზამკვლევი

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის
ბიუჯეტი და 2023-2026 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი

Contents


შესავალი	3
ტერმინთა განმარტება	4
საბიუჯეტო პროცესი	5
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი	7
თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები	11
❖ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა	12
❖ გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები	13
პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00	15
პრიორიტეტი - დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00	17
პრიორიტეტი - განათლება 04 00	18
პრიორიტეტი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00	18
პრიორიტეტი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00	21
პრიორიტეტი - ეკონომიკური განვითარება 07 00	23
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 01 00	24
❖ ბიუჯეტის სტრუქტურა	25
გორის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2023 წლისთვის	29
❖ შემოსულობები	29
■ შემოსავლები	31
➤ გადასახადები	32
➤ გრანტები	33
➤ სხვა შემოსავლები	33
❖ <i>მუნიციპალიტეტის გადასახდელები</i>	35
■ ხარჯები	36
▪ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია)	38
გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების შესახებ	39

შესავალი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტი უნდა იქმნებოდეს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით. ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას.

იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, როდის იწყება ბიუჯეტზე მუშაობა და თავად რა ფორმით შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.

!!! თქვენ უფლება გაქვთ.



წინამდებარე გზამკვლევაში მოცემულია გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და 2023-2026 წლების პრიორიტეტები და დაგეგმილი პროგრამები.

ტერმინთა განმარტება

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

დაზუსტებული ბიუჯეტი – კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

ასიგნება – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

პრიორიტეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;

პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

ქვეპროგრამა – მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა;

ასიგნება – ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

პროფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო პროფიციტზე;


დეფიციტი - თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალ ნაწილს, მაშინ საუბრობენ საბიუჯეტო დეფიციტზე.

საბიუჯეტო პროცესი


- ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან;
- მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი შემოსულობები (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები);
- თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
- საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა 10 თვით ადრე იწყება. მაგალითად, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მომზადებაზე მერიამ მუშაობა 2022 წლის 1 მარტს დაიწყო, ხოლო 2022 წლის 15 ნოემბრისთვის საკრებულოში წარადგინა.

საბიუჯეტო ციკლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:



ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული.



ქვემოთ კი მოცემულ გრაფიკში კი წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპების თანმიმდევრობა.

ბიუჯეტირების პროცესი 3 ძირითად ეტაპს მოიცავს და სამივე ფაზაში თქვენი, როგორც მოქალაქის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. ამ პროცესში კი სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით შეგიძლიათ ჩაერთოთ. კერძოდ

ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე

- თქვენს დასახლებაში არსებული პრობლემების შესახებ მერიისა და საკრებულოსთვის ინფორმაციის მიწოდება
- ინიციატივების დაყენება
- პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილეობა
- დისკუსიებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრებზე დასწრება

ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე

- ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მონაწილეობა და მერიისთვის რეკომენდაციების მიწოდება
- საკრებულოს კომიტეტების სხდომაზე დასწრება
- საკრებულოს სხდომაზე დასწრება

ბიუჯეტის შესრულება/ანგარიშგება

1 იანვრიდან

- ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;
- ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა;
- ბიუჯეტის შესრულების შესახებ საკრებულოში განხილვებში მონაწილეობა;
- მერის მიერ წლიური ანგარიშის წადგენაში მონაწილეობა და შეკითხვების დასმა;

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

თვე	ვადა	აქტივობა
მარტი	01 მარტი	სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი (მერი, მოადგილეები, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, დარგობრივი სამსახურები, დამოუკიდებელი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები, საკრებულოს წარმომადგენლები.
	15 მარტი	სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს მოსახლეობის გამოკითხვის ანკეტას, რომლის მიზანია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში და დავალებას აძლევს მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის გამოკითხვის თაობაზე.


აპრილი	20 აპრილი	მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა და შედეგები შეჯამებულია. მერის წარმომადგენლები სამუშაო ჯგუფს წარმოუდგენენ მოსახლეობის გამოკითხვის ანკეტას, რომლის მიზანია იმ პრიორიტეტული სფეროების შესახებ ინფორმაციის მიღება, რომლებშიც მოქალაქეთა აზრით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა უზრუნველყოს პრობლემის მოგვარება.
	20 აპრილი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად. რაც უნდა განხორციელდეს მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის საფუძველზე.
ივნისი	22 ივნისი	საბიუჯეტო ორგანიზაციები და პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას და ითვალისწინებენ ამ წინადადებებს მათი ობიექტურობიდან გამომდინარე.
	22 ივნისი	მუნიციპალიტეტის სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები განიხილავენ დოკუმენტებს პროგრამული ინფორმაციის შესახებ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და შეიტანენ ცვლილებებს პროგრამებში, მიღებული კომენტარების შესაბამისად.
	27 ივნისი	მუნიციპალიტეტის სამსახურები და საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ დოკუმენტებს პროგრამული ინფორმაციის შესახებ საფინანსო სამსახურსა და სამუშაო ჯგუფს.
ივლისი	11 ივლისი	პროგრამული ინფორმაციის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ პროექტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს, ახლად შემოთავაზებულ პროგრამებთან ერთად.
	18 ივლისი	სამუშაო ჯგუფი ამზადებს კომენტარებს პრიორიტეტის დოკუმენტის პირველ პროექტზე და მოახდენს პროგრამების/ქვეპროგრამების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, მათი როლის გათვალისწინებით.
	25 ივლისი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მიმდინარე პროგრამების (რომელიც გრძელდება მომავალ წლებში) საშუალოვადიან ხარჯთაღრიცხვებს და შემოსულობების პროგნოზს და სამუშაო ჯგუფს წარუდგენს ახალი ინვესტიციების დაფინანსების პოტენციალს. მიღებული მასალების განხილვის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს აწვდის რეკომენდაციებს ახლად შემოთავაზებული პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრული პროგრამების სიას, რესურსებთან შესაბამისობაში.
	29 ივლისი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ასწორებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ პროექტს სამუშაო ჯგუფის მიერ მოწოდებული კომენტარებისა და მერის გადაწყვეტილების მიხედვით და ადგენს ხარჯების ლიმიტს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის.

აგვისტო	03 აგვისტო	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ბიუჯეტის ცირკულარს ზღვრული ჭერებისა და რიცხოვნობის მითითებით უზავენის საბიუჯეტო ორგანიზაციებს.
	25 აგვისტო	საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენის მიზნით საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ თავის საბიუჯეტო მოთხოვნებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
	31 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი იხილავს წარმოდგენილ მოთხოვნებს და ამზადებს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტს მუნიციპალიტეტის მერისათვის წარსადგენად.
სექტემბერი	01 სექტემბერი	მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს სამართლებრივ აქტს რითიც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას.
	07 სექტემბერი	საბიუჯეტო ორგანიზაციები წარუდგენენ თავის საბიუჯეტო განაცხადებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
ოქტომბერი	05 ოქტომბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 05 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.
ნოემბერი	02 ნოემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის წარსადგენ ვარიანტს. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს.
	10 ნოემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ახდენს წარდგენილი დოკუმენტების კორექტირებას და ამზადებს მას მერისათვის გადასაცემად.
	15 ნოემბერი	მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს წარედგინება შესაბამის პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად.
დეკემბერი	09 დეკემბერი	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა, მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს.
იანვარ-თებერვალი	20 იანვრიდან 15 თებერვლამდე	შემუშავებული ანკეტის შესაბამისად მერის წარმომადგენლების მიერ განხორციელდება მოსახლეობის გამიკითხვა და მომზადდება ანალიზი თუ: 1) რამდენად კმაყოფილია

		მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით და 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.
თებერვალი	15 თებერვალი	ორგანიზაციები (პროგრამებზე პასუხისმგებელი სამსახურები) საფინანსო სამსახურს წარუდგენენ პროგრამის შესრულების ანგარიშებს დანართი 7-ით გაწერილი ფორმატით.
	21 თებერვალი	სამუშაო ჯგუფი შეისწავლის და განიხილავს წარმოდგენილ შესრულების ანგარიშებს და შეუძლია მიაწოდოს რეკომენდაციები პროგრამის გაუქმებასთან, შემცირებასთან ან რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებით, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. ორგანიზაციები ითვალისწინებენ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სამუშაოების დაგეგმვისას.
	28 თებერვალი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ პროგრამების შესრულების შესახებ. მუნიციპალიტეტის მერი 01 მარტამდე ანგარიშს წარუდგენს საკრებულოს.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა (გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა) და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობას.

მერმა საკრებულოს 15 ნოემბერს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და 2023 წლის ბიუჯეტთან ერთად შემდეგი დოკუმენტები წარუდგინა:


- ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;
- მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და

შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები);

- კაპიტალური პროექტების დანართი
- ა(ა)იკ-ების დანართი

❖ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე (2021 და 2022 წლები), ასევე მომდევნო 4წლის განმავლობაში (დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი - 2023-2026 წლები) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე. პრიორიტეტის დოკუმენტი სამი თავისგან შედგება.



❖ გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია 7 პრიორიტეტული მიმართულება.




2023-2026 წლებში პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია შემდეგი თანხები:

ათასი ლარი

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	თანამშრომელთა რიცხოვნობა	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	315	13,473.0	14,511.5	14,856.2	14,872.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	38	22,739.9	21,868.1	26,442.4	30,822.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	35	3,561.0	3,761.0	3,882.0	3,913.3
04 00	განათლება	1041	11,712.0	13,150.0	12,850.0	13,350.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	82	8,564.5	8,526.0	8,583.0	8,656.0

06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	22	3,799.2	3,714.9	3,736.9	3,788.9
07 00	ეკონომიკის განვითარება	26	5,318.0	5,320.0	5,370.0	5,470.0
სულ ჯამი		1559	69,167.6	70,851.5	75,720.5	80,872.9

ქვემოთ მოცემულია 2023 წელს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ფინანსების გადანაწილების მაჩვენებელი.



პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	22,739.9	21,868.1	26,442.4	30,822.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,826.4	8,301.2	9,094.9	11,615.9
02 02	გარე განათება	1,995.0	2,463.0	2,949.3	2,989.2
02 03	წყლის სისტემის განვითარება	3,112.0	3,673.0	4,831.3	5,429.8
02 04	საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	2,720.0	2,075.9	4,231.9	5,402.3
02 05	კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	646.5	855.0	755.0	755.0
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფა	1,460.0	1,520.0	1,600.0	1,650.0
02 08	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	2,980.0	2,980.0	2,980.0	2,980.0

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 0201)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,826.4	8,301.2	9,094.9	11,615.9
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა	900.0	900.0	900.0	900.0
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	7,942.4	6,951.2	7,744.9	10,265.9
02 01 03	საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობა	600.0	400.0	400.0	400.0
02 01 04	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	384.0	50.0	50.0	50.0

პროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 0202)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 02	გარე განათება	1,995.0	2,463.0	2,949.3	2,989.2
02 02 01	გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა	345.0	363.0	399.3	439.2
02 0 2 02	გარე განათების ელექტრო-ენერჯის ღირებულება	1,650.0	1,700.0	1,750.0	1,750.0

02 02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	0.0	400.0	800.0	800.0
----------	--	-----	-------	-------	-------

პროგრამა: წყლის სისტემის განვითარება (პროგრამის კოდი 0203)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 03	წყლის სისტემის განვითარება	3,112.0	3,673.0	4,831.3	5,429.8
02 03 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1,637.6	1,700.0	2,736.3	2,867.8
02 03 02	სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება	350.0	350.0	350.0	350.0
02 03 03	წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა	1,064.4	1,105.0	1,107.0	1,110.0
02 03 04	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	60.0	518.0	638.0	1,102.0

პროგრამა: საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამის კოდი 0204)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 04	საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	2,720.0	2,075.9	4,231.9	5,402.3
02 04 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგო-ბების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება	1,920.0	1,530.9	1,686.9	2,257.3
02 04 02	ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	800.0	545.0	2,545.0	3,145.0

პროგრამა: კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამის კოდი 0205)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 05	კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	646.5	855.0	755.0	755.0
02 05 03	მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია	2.5	5.0	5.0	0.0
02 05 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	544.0	550.0	550.0	550.0
02 05 06	საახალწლოდ ქალაქგაფორმება	100.0	300.0	200.0	200.0

პროგრამა: ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფა (პროგრამის კოდი 0206)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფა	1,460.0	1,520.0	1,600.0	1,650.0
02 06 01	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	800.0	800.0	850.0	900.0
02 06 02	დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება	660.0	720.0	750.0	750.0

პრიორიტეტი - დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,561.0	3,761.0	3,882.0	3,913.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	2,902.0	3,011.0	3,112.0	3,113.3
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	659.0	750.0	770.0	800.0

პროგრამა: დასუფთავება და ნარჩენების მართვა (პროგრამის კოდი 0301)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	2,902.0	3,011.0	3,112.0	3,113.3
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,902.0	2,911.0	2,912.0	2,913.3
03 01 02	საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების შექმნა	0.0	100.0	200.0	200.0

პრიორიტეტი - განათლება 04 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	11,712.0	13,150.0	12,850.0	13,350.0
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	11,562.0	13,000.0	12,700.0	13,200.0
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	150.0	150.0	150.0	150.0

პროგრამა: ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფა (პროგრამის კოდი 0206)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	11,562.0	13,000.0	12,700.0	13,200.0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	640.0	2,000.0	1,500.0	2,000.0
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	10,922.0	11,000.0	11,200.0	11,200.0

პრიორიტეტი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	8,564.5	8,526.0	8,583.0	8,656.0
05 01	სპორტის განვითარების	4,601.5	4,703.0	4,760.0	4,773.0

	ხელშეწყობა				
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,763.0	3,623.0	3,623.0	3,683.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200.0	200.0	200.0	200.0

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0501)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,601.5	4,703.0	4,760.0	4,773.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	887.5	890.0	900.0	900.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	1,078.0	1,080.0	1,125.0	1,140.0
05 01 02 01	ფეხბურთის კლუბის განვითარების ხელშეწყობა	920.0	910.0	940.0	950.0
05 01 02 02	ქალთა სპორტის განვითარება	75.0	80.0	85.0	90.0
05 01 02 03	ამპუტატენტთა ფეხბურთის განვითარება	83.0	90.0	100.0	100.0
05 01 03	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	2,636.0	2,733.0	2,735.0	2,733.0

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0502)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,763.0	3,623.0	3,623.0	3,683.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	400.0	400.0	400.0	400.0
05 02 02	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	91.0	91.0	91.0	91.0
05 02 03	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	1,458.0	1,460.0	1,460.0	1,520.0
05 02 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	283.0	285.0	285.0	285.0
05 02 05	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	743.0	745.0	745.0	745.0
05 02 06	მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	466.0	470.0	470.0	470.0
05 02 07	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	72.0	72.0	72.0	72.0
05 02 09	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	250.0	100.0	100.0	100.0

პროგრამა: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0503)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200.0	200.0	200.0	200.0
05 03 01	რელიგიური ორგანიზაციების ელექტროენერჯის ხარჯის დაფინანსება	120.0	100.0	100.0	100.0
05 03 02	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	80.0	100.0	100.0	100.0

პრიორიტეტი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,799.2	3,714.9	3,736.9	3,788.9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,681.0	1,680.0	1,680.0	1,715.0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	1,567.2	1,483.9	1,505.9	1,522.9
06 03	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა (მიუსაფარი ცხოველების მართვა)	551.0	551.0	551.0	551.0

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 0601)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,681.0	1,680.0	1,680.0	1,715.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	221.0	220.0	220.0	220.0
06 01 02	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, გლუტენის დაავადება, კანის ქრონიკული, ჰიდროცეფალით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება და სამედიცინო დახმარება	400.0	400.0	400.0	400.0
06 01 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	350.0	350.0	350.0	350.0
06 01 04	ონკოლოგიური (ონკოპათოლო-გიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	540.0	540.0	540.0	540.0
06 01 05	უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	75.0	75.0	75.0	75.0
06 01 06	დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება	80.0	80.0	80.0	115.0
06 01 07	სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება	15.0	15.0	15.0	15.0

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0602)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	1,567.2	1,483.9	1,505.9	1,522.9
06 02 01	მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	120.0	120.0	120.0	120.0
06 02 02	ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება	4.0	7.0	8.0	9.0
06 02 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები	35.0	40.0	45.0	50.0
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	263.0	263.0	273.0	283.0
06 02 05	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	36.0	36.0	37.0	38.0
06 02 06	სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	60.0	40.0	40.0	40.0
06 02 07	სოციალური პროექტების თანადაფინანსება	320.0	320.0	320.0	320.0
06 02 08	ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება	60.0	60.0	60.0	60.0
06 02 09	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 10	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით	14.0	20.0	20.0	20.0
06 02 11	მარტოხელა მშობლის დახმარება	52.5	55.0	60.0	60.0
06 02 12	სოციალურად დაუცველი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება	280.8	250.0	250.0	250.0
06 02 13	სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის	5.0	5.0	5.0	5.0
06 02 14	ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა	4.0	5.0	5.0	5.0
06 02 15	გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა	200.0	200.0	200.0	200.0
06 02 16	2022 წლის 01 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება	5.0	5.0	5.0	5.0
06 02 17	2022 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს	7.9	7.9	7.9	7.9
06 02 19	ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება	50.0	50.0	50.0	50.0

პრიორიტეტი - ეკონომიკური განვითარება 07 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
07 00	ეკონომიკური განვითარება	5,318.0	5,320.0	5,370.0	5,470.0
07 01	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გამდიერება	329.0	330.0	330.0	330.0
07 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	4,989.0	4,990.0	5,040.0	5,140.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 0100

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	13,473.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	8,991.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	4,364.0
01 03	კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირება	55.0

პროგრამა: საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0101)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	8,991.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,686.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	7,071.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	234.0

პროგრამა: საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 0102)

ათასი ლარი


პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	4,364.0
01 0201	სარეზერვო ფონდი	400.0
01 0202	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	3,964.0

❖ ბიუჯეტის სტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2023 წელის ბიუჯეტში არის ინფორმაცია 2021 და 2022 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

ათას ლარში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემდეგი თავებისგან შედგება:



➤ პირველი თავი შედგება შემდეგი მუხლებისგან:

მუხლი 1: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი. ამ მუხლში მოცემულია მთელი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია:

- ✓ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის რა სხვაობაა (საოპერაციო სალდო);
- ✓ არაფინანსური აქტივების ცვლილება რამდენია (მუნიციპალური ქონების შექმნისთვის დახარჯულ თანხასა და ქონების გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას შორის სხვაობა);
- ✓ მთლიანი სალდოს მოცულობა, ანუ ბიუჯეტი პროფიციტულია თუ დეფიციტური. ეს კი იანგარიშება საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება;
- ✓ შემდეგ გამოითვლება ბიუჯეტის ბალანსი - გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების (მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ახალი ვალის მოცულობას გამოკლებული ძველი ვალის დასაფარად გათვალისწინებული ძირითადი თანხა) მაჩვენებელი.

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი იქნება ბიუჯეტის:

- ✓ შემოსულობები: შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების ზრდა;
- ✓ გადასახდელები: ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების კლება;
- ✓ ნაშთის ცვლილება: ნაშთი არის ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი, ხოლო ნაშთის ცვლილება არის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება;

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის შესახებ:

- ✓ გადასახადები;
- ✓ გრანტები
- ✓ სხვა შემოსავლები;

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვალ ბიუჯეტში შემდეგი გადასახადებიდან:

- ✓ ქონების გადასახადი;
- ✓ დღგ;

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვალ ბიუჯეტში გრანტებიდან:

- ✓ დონორებისგან მიღებული თანხები;
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები: მიზნობრივი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვალ ბიუჯეტში სხვა შემოსავლებიდან, როგორც არის:

- ✓ პროცენტი; რენტა;
- ✓ მოსაკრებლები;
- ✓ ჯარიმები, საურავები და სხვა

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რა თანხაა გათვალისწინებული ყოველწლიურად გასაწევი ხარჯებისთვის, როგორც არის:

- ✓ შრომის ანაზღაურება (მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები);
- ✓ საქონელი და მომსახურება (საოფისე მასალების, ინვენტარის და სხვა საქონელის შეძენა);
- ✓ სუბსიდია (მუნიციპალური ა(ა)იპ-ების დაფინანსება);
- ✓ პროცენტი (აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება);
- ✓ გრანტი (სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების დაფინანსება);
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა;
- ✓ სხვა ხარჯი (სარეზერვო ფონდი, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა);

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების შესახებ.

- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება;
- ✓ არაფინანსური აქტივების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ ქონების (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი, მიწა) გაყიდვიდან მიღებული ფულად სახსრები.

მუხლი 9. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტიდან ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდაზე ერთად რამდენი იხარჯება ფუნქციონალურ ჭრილში: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (701); თავდაცვა (702); ეკონომიკური საქმიანობა (704); გარემოს დაცვა (705); საბინაო-კომუნალური მეურნეობა (706); ჯანდაცვა (707); დასვენება და კულტურა (708); განათლება (709); სოციალური დაცვა (710).

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდოს მოცულობის შესახებ.


მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია თუ რა თანხა დაიხარჯება ბიუჯეტიდან ფინანსური აქტივების ზრდაზე და რა თანხა შემოვა ბიუჯეტში ფინანსური აქტივების კლებიდან:

- ✓ მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივი იზრდება როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გაცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას;
- ✓ ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების (ვალუტა და დეპოზიტები, მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა, აქციები და სხვა კაპიტალი) გამოყენებიდან მიიღება, არის შემოსულობა ფინანსური აქტივის კლებიდან;

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია რამდენ ვალს იღებს მუნიციპალიტეტი და ძველი ვალიდან რა თანხას ფარავს.

- ✓ ვალდებულებების ზრდა - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის (საგარეო და საშინაო) აღების შედეგად აქვს. მუნიციპალიტეტს სესხის აღება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით შეუძლია;
- ✓ ვალდებულებების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

➤ **ბიუჯეტის მეორე თავში** მოცემულია პრიორიტეტების, პროგრამებსა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები და მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები, ხოლო შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები) კი მოცემულია პროგრამული ბიუჯეტის დანართში, რომელიც თან ახლავს ბიუჯეტის პროექტს, თუმცა არ მტკიცდება საკრებულოს მიერ.



მუნიციპალიტეტების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 0100);
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 0200);
- ✓ გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 0300);
- ✓ განათლება (პროგრამული კოდი 0400);
- ✓ სპორტი, კულტურა, ახალგაზრდობა, რელიგია (პროგრამული კოდი 05 00);
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00);
- ✓ ეკონომიკური განვითარება (პროგრამული კოდი 07 00).


მეორე თავის ბოლოს წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი **ასიგნებების შესახებ**. ეს ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია მარეგულირებელი ნორმების შესახებ. კერძოდ, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესახებ. 2023 წელს ფონდის მოცულობა 400,0 ათასი ლარია. ასევე მოცემულია ინფორმაცია მიზნობრივი ტრანსფერის შესახებ და სხვა მარეგულირებელი ნორმები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მომზადებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385-ის (2011 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი) მიხედვით.

გორის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2023 წლისთვის

❖ შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო (ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურსები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს **ბიუჯეტის შემოსულობებს** წარმოადგენს.



ბიუჯეტის შემოსულობები არის ბიუჯეტში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზემოთ მოცემული 4 ძირითადი წყაროდან.

- ❖ **შემოსავლები:** გადასახადები (ქონების გადასახადი და დღგ-დან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);
- ❖ **არაფინანსური აქტივების კლება** - არის მუნიციპალიტეტის მიერ გასაყიდად გატანილი ქონებიდან მიღებულ ფულად სახსრები.

მუნიციპალიტეტს შემდეგი სახის არაფინანსური აქტივები აქვს:

- ✓ ძირითადი აქტივები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა)
- ✓ არაწარმოებული აქტივები (მიწა)

როდესაც მუნიციპალიტეტი შენობა-ნაგებობას ან მიწას ყიდის, მას ქონება აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოსდის, ამიტომ ქონების გაყიდვიდან მიღებულ თანხებს არაფინანსური აქტივების კლება ჰქვია.

❖ **ფინანსური აქტივების კლება** - არის ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენებიდან მიიღება.

კერძოდ, ფინანსური აქტივებია:

- ✓ ვალუტა და დეპოზიტები
- ✓ სესხები (მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა)
- ✓ აქციები და სხვა კაპიტალი


მაგალითად, როდესაც მუნიციპალიტეტს სხვაზე გასესხებული თანხა უკან უბრუნდება, ან წინა წელს დარჩენილი ნაშთის გამოყენებას გეგმას, ამ დროს ფინანსური აქტივი აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოდის.

❖ **ვალდებულებების ზრდა** - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს.

კერძოდ, ვალდებულებებია:


- საგარეო ვალი
- საშინაო ვალი

გორის მუნიციპალიტეტის შემოსულობების მაჩვენებელი 2023 წლისთვის 67 467 600 ლარია, აქედან შემოსავლები 66 217,6 ათასი ლარია, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 1 250,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ნაშთის ცვლილება უკვე ასახულია ბიუჯეტში და 1 700 000 ლარია. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მაჩვენებელი 2023 წლის განმავლობაში გაიზარდა. დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებს კორექტირებული, ანუ დაზუსტებული ბიუჯეტი ეწოდება.



■ შემოსავლები


მუნიციპალიტეტის შემოსულობების მთავარი წყარო შემოსავლებია. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადებიდან 59 022 700 ლარის შემოსვლა იგეგმება, გრანტებიდან - 515 000 ლარის, ხოლო სხვა შემოსავლებიდან - 6 679 900 ლარის.



➤ გადასახადები

გადასახადები შედგება:

- ❖ **ადგილობრივი გადასახადიდან**, როგორც არის ქონების გადასახადი. 2023 წელს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქონების გადასახადიდან 5 550 000 ლარის მობილიზებაა დაგეგმილი. ამ თანხას იხდიან როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები.



- ❖ **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)** – 2023 წელს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დღგ-დან 53 472 700 ლარი შემოვა.

2019 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული დღგ-დან 19 პროცენტი ნაწილდება მუნიციპალიტეტებს შორის. გადანაწილება შემდეგი წესის მიხედვით ხდება:

- ✓ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის - 60%;
- ✓ 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის - 15%;
- ✓ 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის - 10%;
- ✓ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით - 10%;
- ✓ მუნიციპალიტეტის ფართობის - 5%;

ამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება თანხის მოცულობა მუნიციპალიტეტებისთვის. მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დღგ-ს წილიდან 3,42%-ს, ანუ 53 472 700 ლარს იღებს გორის მუნიციპალიტეტი.

➤ გრანტები

ბიუჯეტის მე-5 მუხლში მოცემულია ინფორმაცია გრანტების (ტრანსფერების) შესახებ. მუნიციპალიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ტრანსფერებს.

სულ მუნიციპალიტეტი 3 სახის ტრანსფერს იღებს:

- ✓ **მიზნობრივი ტრანსფერი** - დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები;
- ✓ **კაპიტალური ტრანსფერი** - გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;
- ✓ **სპეციალური ტრანსფერი** - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

გორის მუნიციპალიტეტის შემოსავლები გრანტებიდან 515 000 ლარით არის დაგეგმილი და მხოლოდ მიზნობრივი ტრანსფერია განსაზღვრული. წლის განმავლობაში დაემატება კაპიტალური ტრანსფერიდან შემოსავლები.

➤ სხვა შემოსავლები


ბიუჯეტის მე-6 მუხლში მოცემულია ინფორმაცია სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრების შესახებ.

!!!რას მოიცავს სხვა შემოსავლები:

- **შემოსავლები საკუთრებიდან:** პროცენტი (კომერციულ ბანკში არსებული დეპოზიტიდან მიღებული პროცენტი, გასესხებული თანხიდან მიღებული პროცენტი); რენტა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან);
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია:** ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვ.); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავლები მომსახურების გაწევიდან);

- **ჯარიმები, სანქციები და საურავები:** მათ შორის პატრულის მიერ დაწერილი ჯარიმები;
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** - ისეთი სახის შემოსავლები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ შედის;


2023 წელს გორის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 6 679,9 ათას ლარს შეადგენს. აქედან შემოსავლები საკუთრებიდან 2 055,0 ათასი ლარია, საიდანაც 1 375 000 ლარი არის პროცენტიდან შემოსავალი, ხოლო 680 000 ლარი რენტაა, მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 200,0 ათასი ლარი, ხოლო შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 480,0 ათასი ლარი.



საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კატეგორიიდან 812,9 ათასი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი; აქედან სანებართვო მოსაკრებელიდან - 100 000 ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან კი - 400 000 ლარის, სათამაშო ბიზნესიდან - 160 000 ლარი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 2 000 ლარი, ასევე არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან დაგეგმილია 150 900 ლარის მიღება.

❖ მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა **ბიუჯეტის გადასახდელებს** წარმოადგენს.




!!! რას გულისხმობს ეს ტერმინები:

- ❖ **ხარჯები:** ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები, საოფისე მასალებისა და ინვენტარის შეძენა, ა(ა)იპ-ების დაფინანსება, აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება, სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ **არაფინანსური აქტივების ზრდა** - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება;

როდესაც მუნიციპალიტეტი რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, ან 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას ყიდულობს, არაფინანსური აქტივები ეზრდება.

- ❖ **ფინანსური აქტივების ზრდა** - როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას. ამ ოპერაციების შედეგად მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივები იზრდება;
- ❖ **ვალდებულებების კლება** - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით გადასახდელები 69 167 600 ლარია, აქედან 49 764 600 ლარი ხარჯებია, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა კი - 17 093 000 ლარი, ასევე 2 310 000 ლარი წინა წლებში აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვას მოხმარდება. ქვემოთ მოცემულია გადასახდელების გრაფიკული სურათი.



■ ხარჯები

მუნიციპალიტეტის ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით №99 (05.04. 2019 წელი) განსაზღვრულია, თუ რას უნდა მოიცავდეს თავად ეს კატეგორიები:


- ✓ შრომის ანაზღაურება: მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასები, პრემია-დანამატი, კომპენსაცია;
- ✓ საქონელი და მომსახურება: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება; მივლინება; ოფისის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკა - (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები და სხვა); საოფისე ავეჯი; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების

მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯები; კავშირგაბმულობის ხარჯები; საფოსტო მომსახურების ხარჯები; კომუნალური ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები (საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიებების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეული ხარჯები); ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; მიმდინარე რემონტი; შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა.

- ✓ პროცენტი: მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის მომსახურების პროცენტი საგარეო და საშინაო ვალდებულებებზე;
- ✓ სუბსიდიები: სუბსიდიები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისთვის მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს;
- ✓ გრანტი: გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს. მაგალითად, სახელმწიფო ა(ა)იპ-ებისთვის;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა: სხვადასხვა სოციალური დახმარება;
- ✓ სხვა ხარჯები: სარეზერვო ფონდი, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა;

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 49 764 600 ლარს.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ სურათზე წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიების პროცენტული გადანაწილება.




▪ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-9 მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია დარგების მიხედვით (ფუნქციონალურ ჭრილში) რა ხარჯები იქნება გაწეული და რა თანხა დაიხარჯება არაფინანსური აქტივების ზრდისთვის.

შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება: (აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა; ვალთან დაკავშირებული ოპერაციები);
- ✓ თავდაცვა:წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა: საავტომობილო ტრანსპორტი და გზები;
- ✓ გარემოს დაცვა: ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა: წყალმომარაგება; გარე განათება; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია: მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში; მომსახურება კულტურის სფეროში; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა;
- ✓ განათლება: სკოლამდელი აღზრდა;
- ✓ სოციალური დაცვა: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა; ხანდაზმულთა სოციალური დაცვა; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები; დევნილი და უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები და სხვა.

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდისთვის 66 857 600 ლარია განსაზღვრული.



გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით არ არის დაგეგმილი ახალი ვალის აღება, ხოლო წინა წლებში აღებული ვალის მომსახურებისთვის გათვალისწინებულია 2 310 000 ლარი, კერძოდ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016-2020 წლებში მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით დასაფარი სესხის ოდენობა შეადგენს 14 427,1 ათ. ლარს.